№ 203 27 ბიორგობისთვე, ქვირა 1866—1877 27 ბიორგობისთვე, ქვირა № 20

ᲣᲙᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲘᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთი ასოდ ერთ ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალ 1878 წელს გაზეთი

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

გამოვა იმგვარივე პროგრამითი და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

თფილისში—„მიიღება დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

სხვა ქალაქებში შემდეგ პირებთან—„დროების“ აგენტებთან—შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა:

ᲑᲝᲠᲩᲨᲘ—უფ. ალალო თუთაევთან
ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲚ—უფ. პოსტ. ბალაშვილთან
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲡ—უფ. იოსებ სულხანოვთან
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—უფ. ივ. სვ. მესხთან
ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲨᲘ—მ. დ. ღამბაშიძესთან
ᲝᲜᲨᲘ—უფ. ალ. წულუკიძესთან
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲥᲡ—უფ. ნიკ. დგებუაძესთან და
ᲡᲐᲛᲗᲠᲔᲓᲘᲐᲡ—უფ. ლუკა სვ. ავალიანთან.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მოწერლებსა და აგენტებს: **ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ**; თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲑᲝᲒᲝᲢᲘ, 24 ნოემბერს. (ოფიციალური). 23 ნოემბერს ღენ.-ადიუტ. თ. მირსკიმ დაიცვა თავის პოზიცია იაკოვიცთან და ამ ღამეს აქ გაათია; აქვე ელენას სამხრეთით დიდ-ძალი ჯარი იყო მტრისა. ᲓᲦᲔᲡ დილით ჩვენებს ჯარები უნდა მოშველებოდა.

ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲑᲣᲠᲙᲝᲡ წინაალმდეგ, ტყვეების სიტყვით, ზლატარიცაში დგას 5 ტაბორი მეჰმედ-ᲐᲚᲘ-ᲤᲐᲨᲘᲡ ჯარისა, ᲐᲠᲐᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ—თვითონ მეჰმედ-ᲐᲚᲘ-ᲤᲐᲨᲐ 20—25 ბატალიონით, მარკოვში—5—10 ტაბორამდინ, სულ 30—40 ტაბორამდინ. ᲐᲛᲐᲕᲔ ტყვეების სიტყვით, 21 ნოემბერს რომ ბრძოლა იყო, მაშინ იმათი 1,300 კაცი მოკლულა და დაჭრილა. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ კი ამ დღეს მოკლულია—46 სალდათი და 129 დაჭრილი; ამათში რამდონიმე აფიცერი, ერთი აფიცერიც მოკლულია.

ᲛᲡ-ᲐᲠᲘᲡ მოვიდა ამბავი, რომ თ. მირსკის კორპუსში 22-სა და 23-ს 800 კაცია მოკლულ-დაჭრილი.

ᲑᲝᲒᲝᲢᲘ, 24 ნოემბერს. ᲓᲦᲔᲡ დილით ᲘᲐᲙᲝᲕᲘᲪᲨᲘ მოვიდა მე-11 კორპუსის კამანდირი ღენ.-ლეიტ. ბარონი ᲛᲚᲘᲜᲡᲒᲐᲣᲖᲔᲜᲘ, რომელმანც მოიყვანა ღენ. თ. მირსკის მისაშველებლად ახალი ჯარები. ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲚᲔᲕᲘᲡ 2 საათზე ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ მოვიდნენ ამ ჯარზე ერიშით; მაგრამ ერთი საათის შემდეგ სროლა შეწყვიტეს; ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ᲩᲔᲠᲔᲛᲔᲢᲘᲓᲐᲛ გაგზავნილმა ჩვენმა ჯარმა განდევნა ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲗᲘᲡ ზლატარიციდამ და ᲒᲐᲑᲠᲝᲕᲝᲡ გზას დაადგნენ; ამ ჯარის შეეშინდა ალბათ ᲘᲐᲙᲝᲕᲘᲪᲨᲘ დამდგარ მტერს და ამიტომ შესწყვიტა სროლა.

ᲑᲝᲒᲝᲢᲘ, 25 ნოემბერს. (ოფიციალური). 22 ნოემბერს რომ მარენთან და ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲗᲐᲜ ბრძოლა იყო, უფრო სამწუხაროთ გათავებულა ჩვენთვის, ვიდრემ პირველად მიღებულის ცნობებიდამ სჩანდა:

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ჯარიდამ დახოცილა და დაჭრილა ამ დღეს: 50 აფიცერი და 1,800 სალდათი; 11 ზარბაზანი დაეკარგეთ, რომელთაგან 4 მტრის ყუმბარებმა გაგვიფუჭეს და 7 მტერს ჩაუვარდა ხელში, რადგან ცხენები დაგვიხოცეს და იმათი წაღება ბრძოლის ველიდამ ვერ შეეძლეთ.

სხვა უფრო დაწვრილებული ამბავი ამ უბედურს შეტაკებაზე ჯერ არ მიგვილია.

ᲑᲝᲨᲘᲜ საქმე იმით გათავდა, რომ მარჯვენა კალონნა მტრის ჯარისა გაედევნეთ ზლატარიციდამ; ეს კალონა ᲑᲔᲑᲠᲝᲕᲝᲨᲘ დადგა; მარცხენა კალონა კი ჯერ მოგვაწვა ᲩᲕᲔᲜ; მაგრამ 3 საათზე ისევ შეჩერდა. ზლატარიცთან 10,000-მდინ არის ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი, ᲘᲐᲙᲝᲕᲘᲪᲗᲐᲜ კი 30,000-მდინ იქნება.

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ ორ საათზე ხელახლად შეიქნა სროლა ᲘᲐᲙᲝᲕᲘᲪᲗᲐᲜ; მაგრამ 4 საათზე ისევ შესწყდა.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ბევრი ლაპარაკია ამ ჟამად რუსებსა და ოსმალოებს შუა მშვიდობიანობის ჩამოგდების თაობაზე. ამის დასამტკიცებლად უცხო ქვეყნის გაზეთებს სხვათა შორის ის გარემოება მოჰყავთ, რომ ხონთქარმა მთავარ ვეზირობიდამ გადააყენა მაჰმუდ-დამატ-ფაშა, რომელიც ურჩევდა სულთანს, რომ სანამ უკანასკნელი ლონის-ძიება არ გამოგველევა, რუსეთს არ უნდა მოურიგდეთ, ბრძოლა უნდა განვაგრძოთო; ამას გარდა მორიგების ნიშნებს კიდევ იმაში ხედავენ, რომ ოსმან-ფაშასთან რუსებს პლევნის დათმობაზე მოლაპარაკება აქვთ, და ბოლგარიაში გამოიხმეს ადრინდელი რუსეთის ელჩი ოსმალეთში ღენ. იგნატიევი.

ავსტრო-ვენგრია და განსაკუთრებით ინგლისი, რასაკვირველია, ხელს მოუწყობენ და დიდის სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას და მებრძოლთ შორის შუამავალობასაც იკისრებენ, თუ კი ერთ-ერთი ამათგანმა მტერთან შერიგების სურვილი გამოაცხადა.

—

უცხო ქვეყნის ზოგიერთს გაზეთებში, სხვათა შორის ინგლისურს გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 12 ნოემბერს თფილისიდამ მიღებული:

„რაც რუსის მთავრობას იქ ჯარები (რეზერვები) ჰყავთ, სულ ყველა ამ ჟამად ყარსში იყვნენ მოგროვილნი და აქედამ ზოგი უკვე გაგზავნეს და ზოგს ამ დღეებში აგზავნიან არზრუმისაკენ.“

—

სტამბოლიდამ 14 ამ თვეს მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ არზრუმს დასავლეთის მხრით ჯერ სრულიად არ მისდგომიან რუსებიო და ამ ნაირად ტრაპიზონისა და არზრუმის შემაერთებელი გზა სრულიად თავისუფალი არისო.

ამავე ტელეგრამმის სიტყვით, ტრაპიზონის ღუბერნატორმა რამდენიმე ათასი წყვილი თბილი ტანისამოსი გაგზავნა არზრუმში გაჩერებულ ოსმალოს ჯარისათვის.

—

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ დაითხოვა რუსის ბერები და მღვდლები ათონის მთის რუსის (პანტელეიმონის) მონასტრიდამაო, რადგან ამ ბერებს აბრალებდნენ, რომ ხალხს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ აღდგომასა და რუსების მიდგომას უქადაგებდნენო.

ახლა იწერებიან, რომ მთავრობამ ისევ მისცა ხსენებულ ბერებს თავიანთ მონასტერში დაბრუნების უფლება, რადგან გამოძიებას დაუმტკიცებია, რომ ეს ბერები იმ საქმეში, რასაც აბრალებდნენ, დამნაშავენი არ ყოფილანო.

—

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 14 ნოემბერს თავის არზრუმელი კორრესპონდენტისაგან მიღებული:

„მუხთარ-ფაშა ამ დღეებში შევიდა აქედამ თითქმის მთელი ცხენოსანი ჯარით, რომელიც კი არზრუმში იდგა. იმის განზრახვა ამ შემთხვევაში, როგორც ნამდვილად დამარწმუნეს, სხვათა შორის, ის იყო და ის არის, რომ ტრაპიზონის გზის შეკვრის საშუალება არ მისცეს რუსის ცხენოსან ჯარებს, რომელნიც თავისუფლად დასეირნობენ არზრუმის გარეშემო.

„არზრუმის გარნიზონის სარდლად მუხთარ-ფაშამ დააყენა იზმაილ-ფაშა, რომელსაც სამხედრო გამჭრიახობასა და მხნეობას უქებენ.

„თითქმის მუდამ მოდის ტრაპიზონიდამ აქეთკენ ახალი ჯარები.“

—

როგორც მოგეხსენებათ, ყარსისა და ჩილდირის სანჯაყებისაგან ჩვენმა მთავრობამ შეადგინა ერთი მაზრა, სახელად ყარსის მაზრა; ამ მაზრის უფროსად ღენერალი პოპკო არის დანიშნული და იმის თანაშემწედ პოდპოლკ. ედიგაროვი.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებებში“ შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც ამ გაზეთს მიუღია სტამბოლიდამ 18 ნოემბერს:

„ახლად-მოგროვილ ოსმალოს ჯარის უფროსი რეუფ-ფაშა მოვიდა ამ ჟამად ადრიანაპოლში სადაც 50,000 კაცისათვის დასადგომი ბანაკი უნდა გამართოს. მეჰემედ-ალი... სულეიმან-ფაშამ ჩაიბარა შიპკოსთან დაყენე-

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

ჩვენი მხნე მხედრობისაგან ასე მოულოდნელად სახელოვანი ყარსის აღებას, რასაკვირველია, ისეთი საგრძნობელი გავლენა არსად არ ექნება, როგორც ჩვენზე, აჭარლების მოსამზღვრე ახალციხელებზე ჰქონდა.

ამ გარემოებამ ჩვენს უანგარიშო შიშსა ბოლო მოუღო, რადგან ჩვენ შემდეგში აჭარლებისაგან ჩამოდგომას აღარ უნდა მოველოდეთ. და თუ დღეს-ხვალ არზრუმიც ავიღეთ, მაშინ ტრაპიზონის გზაც შევკრათ თათრებს, და აღარ ექნებათ ახალი ჯარების მოშველების იმედი.

მაშინ ჩვენი თანამოძმე აჭარლები, რომელნიც ამ ჟამად თოფ-იარაღითა და ტყვია-წამლით არიან დამზადებულნი, კაკალს, ერბოს, ყურძენს და სხვა ამ გვარ ნაწარმოებს მოგვიტანენ ჩვენ და მეგობრულად, ძმურად გავმართავთ ერთმანეთში მისვლა-მოსვლასა ვაჭრობასა. და მაშინ იქნება ამ უსამზღვრო სიძვირესაც ჩვენში ფერი შეეცვალოს. . . .

ნელ-ნელა დაიწყო ჩვენში ზამთარმა და სიცივეებმა გამეფება. თუმცა ამ სიცივეებმა კარგა აგრძნობინა ჩვენ ღარიბ ხალხს შეშის საჭიროება; მაგრამ მეორეს მხრით არც უნაყოფოთ და უსარგებლოდ დარჩენილა: იმან (სიცივემ) მოგვაშორა ქუჩების სიმყრალისაგან მოწამლული და გაფუჭებული ჰაერი. ჩვენი ქალაქის გამგეობის წყალობით, თუ არ ეს სიცივე და ყინვები, სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნია ახალციხეს თავის ჰაერის გასუფთავებისათვის; თუ არ ეს სიცივეები, ჩვენ ისევ ძველებურად უნდა გვესუნთქბინა უფ. ჩვენი აფთიაქარის მაისურაძის ჯიბე. . . .

ჩვენი ახალციხის ზოგიერთი ქალებისგანაც კამპანია შესდგა! . . ამბობენ, რომ ამ კამპანიის დანიშნულება ის არისო, რომ შეიკრიბებიან, ერთად და სადღეგრძელოებსა სმენ. . . დაიწყებენ ჩვენი ბრწყინვალე ჯარიდამ, ანუ იმათ სარდლებიდამ და გაათავებენ არა-ნაკლებ ბრწყინვალე თავიანთ კავალერებით; ამ უკანასკნელების სადღეგრძელო კი არ შეიძლება დაავიწყდესთო. . .

ჩვენ მოველით, რომ აღმოსავლეთის კითხვა მალე გათავდება; მაგრამ ამ ჩვენი ქალების კამპანიებისა და ჭორიკანაობის გათავებას კი ასე მალე არ მოველით...

ახალმა ცირკულიარმა, რომლის ძალითაც ყველამ, ვისაც მტრის თოფი აქვს, უეჭველად სამხედრო მთავრობას უნდა წარუდგინოს, ცოტა არ იყოს შეაწუხა ზოგიერთი ჩვენი მცხოვრებლები, რომელთაც ამისთანა თოფები, და არა თუ მარტო თოფები, სხვა ბევრი რამ მტრის საქონელი და ნივთებიც ბლომათ აქვთ ხელში, სხვა-და-სხვა საშუალებით მოპოებული მტრისა და მოყვასისაგან—არტაანის და ყარსის აღების შემდეგ იმათ ხელში თითქმის მუქთად ჩავარდნილები.

ჩვენისა და ახალქალაქის მოსამზღვრე სოფლებში ბევრ გლეხებს თავიანთი ხარი, კამეჩი და სხვა საქონელი გაუცვლიათ, როგორც ამბობენ, ამ მტრის მსწრაფ-მსროლელ თოფებში, რადგან ამისთანა იარაღი იმათ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ. ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნება, რომ ამ უკანასკნელ გარემოებას მიაქციოს მთავრობამ ყურადღება და ამ გვარ ხალხს მაინც არ ჩამოართვას მტრისაგან ნაშოვნი იარაღი, რომელიც ამათ ამ მტრისავე მოსაგერებელად დასჭირდებათ. . .

უჩინო

20 ნოემბერს.

ბულ ოსმალოს ჯარის სარდლობა. ბალკანის მთებზე ყველგან დიდი თოვლი მოდის.“

—

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობას“ მოჰყავს შემდეგი დეპეშა 14 ნოემბერს ბუხარესტიდამ მიღებული:

„ერთს აქაურ გაზეთს პორადიმიდამ მოუვიდა ამბავი, რომ ვითომც რუსეთის იმპერატორს მოსელოდეს იქ დეპეშა, რომ ჩვენმა ჯარებმა რაზგრადთან დაამარცხეს სულეიმან-ფაშის არმიაო. დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ ჯერ არ მი-ულია.“

—

ლამანშში მყოფ ინგლისის რამდენსამე სამხედრო ხომალდს მთავრობისაგან ბრძანება მიულიათ, რომ დაუყოვნებლივ ბიბრალტარში წავიდნენ.

მალტის კუნძულთან გაჩერებულ ინგლისის ფლოტს კი მიწერილმა მიულია, რომ ის ბეზიყის ნავსადგურშიდ აბრუნდეს და სტამბოლის მახლობლად გაჩერდეს.

—

სტამბოლში გროვდება ამ ჟამად 150, 000 კაცი, რომელიც მთავრობას მთელი ოსმალეთიდამ მოუკრებია და რომლისაც ერთი ნაწილი არზრუმისაკენ იქნება გამოგზავნილი და დანარჩენი ადრიანაპოლისაკენ.

ამ ახალ-მოგროვილს ჯარებში, როგორც ამბობენ, სხვათა შორის, ბევრი სომხებიც ჩაეწერნენო.

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია ეს დეპეშა სოფიიდამ 17 ნოემბერს მიღებული:

„ორხანიესა და ეტროპოლის მთის გადასასვლელი გზები ოსმალებს უჭირავთ და ძალანაც გაამაგრეს. ბოსნიიდამ მუდამ ახალი ჯარები მოუდისთ ოსმალოებს.

„სამხედრო საქმის მცოდნე კაცები საზოგადოთ ძალიან აქებენ მეჰმედ-ალიფაშის განკარგულებას და განსაკუთრებით იმის შესახებ, რაც ჯარების განაწილებასა და მოხერხებულ ალაგებზე იმათ დაყენებას შეეხება.

„აქ დარწმუნებულები არიან, რომ რუსებს ხელ-მეორედ აღარ გადაუშვებენ ბალკანის მთებზე და ამ ნაირად არ მისცემენ იმათ ნებას, რომ ადრიანოპოლს მიახლოვდნენ.“

საქართველო

დღიური

*** თუ როგორ გათამაშდნენ ჩვენი ქალაქის ავაზაკები და ქურდები,—ამის დასამტკიცებელად შემდეგი შემთხვევა მოგვყავს:

ბუშინწინ, ნასადილევის მეშვიდე საათზე, იარმუკის თავში ერთს ზარაფს სამი ვილაც ავაზაკი დაეცა; ერთმა ყელში წაუჭირა ხელი და დანარჩენი ორი ჯიბეს და საზარაფო ყუთს მივარდნენ... ზარაფმა როგორც იქნა გაინთავისუფლა ერთი ხელი, ამოიღო ჯიბიდამ რევოლვერი და თუმცა ოთხჯერ გაისროლა, მაგრამ ვერც ერთს ვერ მიარტყა. ამ დროს შეიქნა ერთი ყვირილი და ხმაურობა... ავაზაკებმა გაუშვეს თავის მსხვერპლს ხელი და გაიქცნენ; მაგრამ წასელამდინ ერთმა იმათგანმა დანა-ხანჯალი დაჰკრა თურმე საწყალ ზარაფს..

მაყურებლები ბევრი იყვნენო, გვითხრეს; მაგრამ ვერცერთმა ვერ გაბედა ავაზაკისათვის ხელი ეტაცნა და დაეჭირა..

*** „ივერიის“ უკანასკნელს ნომერში გამოცხადებულა, რომ ეს ჩვენი ბანკირების გაზეთი მომავალ წელსაც კიდევ გამოვა.

*** სამტრედიის სტანციიდამ გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რონ სოფ. ძულაშს დაუჭირავთ ბიორგი მიქელაძე, რომელსაც ძუთაისის ოლქის სასამართლომ, ერთი ქალის მოკვლისათვის, ამ სამი წლის წინათ ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტა და რომელიც რკინის გზის სტანციიდამ გაექცა ყარაულებს.

ბაქცევა კი სცოდნია, მაგრამ დამალვა კი ვერა...

*** ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში კარგი-ჩინებული სიცივეები დადგა ჩვენს ქალაქში: ღამ-ღამობით წყალს ყინავს. მაგრამ დღეები კი მშვენიერი, მზიანია, რომ შუა დღეზე უ-თბილტანისამოსოთაც შეიძლება გარეთ გამოვიდეს კაცი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ლეხურის ხეობიდგან, 15 ნოემბერს. (დასასრული *). ორიოდე სიტყვა თავადის და გლეხის დამოკიდებულობაზედ.

ბათავდა ცხრა წელიწადი ბატონ-ყმობის გაუქმობიდგან და ეხლა კანონისამებრ თავადნი და გლეხნი იყოფენ ერთმანერთში მამულებს. რასაკვირელია, თავადობაშიც, როგორც ყოველს საზოგადოების ნაწილში, არიან კარგნი გულლმობიერნი პირნი, მაგრამ, თუ როგორ უწყალოდ და უსინიდისოთ ეპყრობიან გლეხებს ზოგიერთი ამათგანი, მოვიყვან მაგალითს:

ამ ხეობის ერთ სოფელში სცხოვრობს ერთი ახალგაზდა, უნდა მოგახსენოთ განათლებული თავადი. ამას, სხვათა შორის, ჰყავს ერთი წვრილშვილი ქვრივი გლეხის დედაკაცი, რომელსაც, როგორც ამბობენ, მეოთხედის მაგვერად ნახევარს მამულის ნაწარმოებს ართმევს. ამასაც არ სჯერდება: როდისლაც წარსულ წლებში დაიბარა ეს ქვრივ-ოხერი დედაკაცი, მიუტანა პირობის წერილი, რომლითაც ამ დედაკაცს ერთმეოდა მამული და სწყდებოდა მათ შორის ყოველგვარი დამოკიდებულობა; უბრძანა, ამ ქალალდს ხელი მოაწერეო; მაგრამ ქვრივმა მტკიცედ გამოუცხადა, მე ჩემს წვრილს ობლებს ჩემის ხელით ყელს ვერ გამოვჭრიო, მაგ ქალალდს, გინდა დამხვრიტე, ხელს ვერ მოვაწერო. მაშინ ამ ჩვენმა პატიოსანმა რაინდმა დილით საღამომდინ მშიერ-მწყურვალი დაამწყვდია ეს დედაკაცი ბნელს ოთახში. ხომ მოგეხსენებათ, შიმშილით რა სიმაგრეებს იღებენ ხოლმე და ამანაც ეს ღონისძიება მოიხმარა ამ დედაკაცის დასათრგუნავად, მაგრამ ტყვილად: ამან საღამოზედ უფრო მტკიცეთ და მშობლიური გრძნობის სიმწარით უთხრა ისევ ის პასუხი. ამოჰკრეს ამას პანჩური, გამოაგდეს და მიწები უქალალდოთაც წაერთვა. ამაზე საწყალმა ქვრივმა შარშან შემოდგომაზე თურმე შეიტანა საჩივარი ბორის მაზრის მიროვოი პოსრედნიკთან, რომელმაც მთელი წელიწადი ატარა: „აი დღეს, აი ხვალ“ თავის კანცელარიაში და შემდეგ, როგორც ქვრივი ამბობს, გამოუცხადა, რომ შენ არავითარი საჩივარი არ შემოგიტანიაო! ეხლა ეს უბედური ქვრივი დადის მწარედ დაღონებული, დაძმარებული და აღარ იცის—რა ქნას. ერთხელ შეხვდა ამას თავისი ბატონი, რომელმაც ღიმილით უთხრა:

—რათ არ დასდგები შენს ტყავში? ხომ იცი, რომ ჩემი ტყვილი გავა და შენი მართალი არა!

ამ სიტყვებმა უფრო აგრძნობინეს ამას ძრიელ მოწინააღმდეგესთან თავისი უღონობა და მწარედ ეწვის გული. მაგრამ ვინ არის მისი ნუგეში და პატრონი! . . .

ამავე ვაჟბატონმა შეასყიდვინა თავისი კუთვნილი ნახევარი მამულისა ერთს გლეხს, რომელმაც ორი ათას ასი მანეთი ისესხა მამა-სისხლად და ჩააბარა მებატონეს; მაგრამ ეს უკანასკნელი ამ მიყიდვის დამტკიცებას აღარ აპირობს და როდესაც გლეხი ეღრიჭება-დამიმტკიცეო, ის ეუბნება, მოიცადე, აი დღეს აი ხვალაო; მაგრამ უბედურ გლეხს საშინლად ეშინიან ამ გამოჩენილი სიტყვების: „ჩემი ტყვილი გავა და შენი მართალი არაო“.

საზოგადოთ გლეხების და თავადების დამოკიდებულობა ერთმანერთში არ არის კარგი. თავადები ჩივიან, ჩვენ რომ

*) „დროება“, № 201.

დღეში მანეთი მივცეთო გლეხებს, ჩვენთან კი არ იმუშავებენო და სხვაგან კი ამის ნახევარ ფასსაც დასჯერდებიანო. მაგრამ ვისი ბრალია, რომ გლეხებს ამათზე ყოველივე ნდობა აქვსთ დაკარგული? ს. ა—ში სცხოვრობს ერთი ქვრივი, ოდესმე ლამაზი, კნეინას, რომელსაც ამას წინათ რკინის გზისათვის საქონობით შეშის დადგმა აუღია, რომელსაც გლეხებისთვის უზიდვინებია ეს შეშა და ფულები კი ნახევარიც არ მიუცია როგორც გარიგებული ყოფილა. ამ მაგალითების შემდეგ განა გასაკვირველია, რომ გლეხებს თვით პატიოსან თავადებთანაც აღარ ჰქონდეთ არავითარი ნდობა და რწმუნება.?

მიკვირს და გამკვირვებია, ეს მირავოი პოსრედნიკები რისთვის იღებენ ჯამაგირებს? როგორც გლეხები, ეგრეთვე ზოგიერთი თავადებიც ჩივიან, რომ ვეხვეწებით ბორის პოსრედნიკს—მოგვარიგე ერთმანერთში და მოგვასვენეო; მაგრამ ამას ყურიც ვერ-გავაბერტყინეთო, გვეუბნებაო—აი, დღეს, აი ხვილ, და ამით თავდება ყოველი მისი მოქმედებაო. ბევრჯელ წელიწადი გაივლის თურმე, რომ ეს ბრწყინვალი პოსრედნიკი თავის მაზრაში ფეხს არსად გაადგამს.

აქეთკენ ყალბი ბილეთები გამოჩნდა; როგორც ამბობენ, ვილაც ვაჭრებს ჩამოუტანიათ, უყიდნიათ გლეხებისაგან ქერი, კოდი ხუთ მანეთად! და ყალბი თუმნიანები და ოც-და-ხუთ მანეთებიანები დაურიგებიათ.

ს. მ—ლი

ნარევი

ერთს ნემეცურს გაზეთში შემდეგ ამბავს იწერებიან პლევნოდამ:

„როცა რუსებს მოუვიდათ აქ ამბავი, რომ იმათ ჯარს ყარსი აუღიათ, ლენერალ სკობილევმა გააკეთებინა დიდი ქალალდი, ზედ არშინიანი ასოებით დაწერინა შემდეგი სიტყვები:

„ყარსი ავიღეთ!

„10,000 ოსმალოს ჯარი ტყვედ ავიყვანეთ!

„ბაუმარჯოს რუსეთის იმპერატორს და მხედრობას!

„ეს ქალალდი გამოაფინა ერთს მაღლობ ადგილზე და პირი აქნევინა პლევნოსაკენ, რომ ოსმან-ფაშის ჯარებს დაენახათ და წვეკითხათ დურბინდით.

„ნახევარი საათის შემდეგ, ეს ქალალდი ოსმალოს სალდათებმა მიზანში ამოიღეს და სულ ნაკუწ-ნაკუწად აქციეს.“

* *
*

ერთი დიდი-უშველებელი პოემა მივიღეთ ჩვენ ამ დღეებში სამეგრელოდამ ვილაც ეფროსინეზედ. მთელი ეს პოემა გაზეთისათვის გამოუდეგარია; მაგრამ ზოგი ლექსები კი სანარევო ხასიათისანი არიან. მოგვყავს აქ ერთი ამათგანი:

„ამისთანა შენსა მტერსა, ეფროსინეს უქნიავო: წითელი კაბა ჩაუცვამს, ჯიბე წინათ უქნიავო! წარბი შავად შეულებავს, უმარილიც უცხიაო და ბიჭ ანდრუას რომ შეხედა, იმას თვალი იქნიაო!

იქნება მთელი ეს „პოემა“ იმიტომ არის დაწერილი, რომ ეფროსინემ თვალი ბიჭ-ანდრუას „უქნია“ და არა იმ ჩვენს პოეტს?!

*
* *

საჩხერედამ მოგვიყიდა ჩვენ შემდეგი ახირებული ამბავი:

„შორაპნის მაზრაში, სოფ. თმაწმინდას, ცხოვრობს ცხრა მოსახლე აზნაური ქმთარაძეები, რომელთაც თმა და ბრჩხილი თავის დღეში მიწაზე არ დავარდნილა. აი როგორ:

„ჩვენს ცრუ-მორწმუნე ხალხში გავრცელებულია ძველადგან გადმონაცემი ამბავი, რომ ვილაც ბერი ქამთარაძე ყოფილა, რომელსაც ვითომ ალი თუ ჭინკა დაეჭირეს და თმა და ფრჩხილი დაეჭრას იმისთვის, და ვინც ამ ქამთარაძის შთამომავლობის თმასა და ფრჩხილს წაიღებს, რაც უნდა მძიმე ავათმყოფი იყოს სახადითა და ციებით, უეჭველად მორჩებაო.

„ამის გამო ურიცხვი ხალხი მიდის იმ ახლანდელ ქამთარაძეებთან; თითო-ოპაზათ ჰყიდულობენ ერთ ნამცეცა-ოდენ ბრჩხილსა ანუ რამდენიმე ღერ თმას და მიაქვთ შინ. ეს ამბავიც მოგახსენეთ, რომ ამ ქამთარაძეების თმა და ბრჩხილი თავის დღეში მიწაზე არ დავარდნილა-მეთქი!“

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

ერევნის მაიდანზე, ქალაქის საკუთარს სახლში, უფროსი პოლიციმეისტრის სადგომის ქვეშ, მიეცემა ჭირით დუქანი.

დაწერილებითი პირობების შეტყობა ვისაც ჰსურს, ქალაქის გამგეობაში შეუძლიან მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—3)

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაიდანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ეცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნეებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჭდენ გედინიძე

ფოჩტის სახლის ქვეშ გაღებულია საქართველო საქონელი, რომელშიაც მსურველს შეუძლიან იყიდოს: რძე, ერბო, მაწონი და სხვა ყველაფერი, რაც რძისაგან ნაწარმოებია.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირლა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირლა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ღია წიგნის	4	
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8	

გირჩა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 24 გიორ.		
ერთი ანეული ლიტრა:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიეში 252 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	95	[illegible]
მოგებიანი (პირველი ...)	21	25
მოგებიან. (მეორე სესსი)	215	50
ბირაოს ფურცლები:		
ფილ. საბნ, ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის 5%	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის საკამერო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ქაკაზის და მერკურის	225	—
პოოვ. სახლვევ. საზ. ...	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი. 26 გიორგობ		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	—
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატყული თუშური ფუ.	7	—
—თარაქამისა ფუ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	6	80
ქონის სანთელი ფუთი.	10	—
სტეარინის სანთელი, ფ.	15	60
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	60
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	60
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	10	—
—ფხვნილი ფუთი .	8	—
შავი გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.